სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/247

ქ. თბილისი 20 სექტემბერი 2018

2018-2019 სასწავლო წლისათვის პირველ სემესტრში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, პროფ. თ წერეთლის 18.09.18 წლის №01.09.33/4894 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის № 01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. 2018-2019 სასწავლო წლისათვის პირველ სემესტრში (საშემოდგომო მიღება) მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 100 ადგილით (იხ. დანართი);

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ს. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე